№ 224 3 ნოემბერი, პარასკევი 1866—1878 3 ნოემბერი, პარასკევი № 224

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაღლოვის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაღლოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: თვითო წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

„დროება"

ღირს სამ მანეთად

პირველი ღვინობისთვიდამ წლის დამლევამდინ—ორ მანეთად.

ხელის-მოწერა შეიძლება თფილისში: რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაღლოვის სახლებში, № 8.

ქალაქს გარეშე პირთა ამ ადრესსით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".*

საქართველო

რამდენიმე სურათი ხევსურების ცხოვრებიდან

(გაგრძელება*)

სალამოს ჟამია; მზე ნახევარ შუბის ტარის სიმაღლეზე-ღა დგა; მზის სხივები გამოსჭვირიან მის წინ აფარებული ღრუბლის ხაპირებიდგან და ჰლებენ მათ წითელ-ყვითლათ.

მე, ღვდელი თვისის ცოლით და ქალით მოვსეირნობთ ტყის პირიდამ.

სალამოს წყნარი ნიავი არხევს ხის ტოტებს და აშრიალებს გაყვითლებულ ფოთლებს. ზედ ჩვენ პირდაპირ მოჩანს თეთრათ კოშკი.

— ნეტა რისთვის არის, მელანო, ის კოშკი აშენებული და ან სახლი რათა დგას ესე მოშორებული სოფლიდამ? ვკითხე ქალს, რომელიც გვერდით მომდევდა მე.

— ისა? რა ვიცი, ხევსურებს აუშენებიათ; მამა უფრო კარგა გეიამბობს რისთვისაც! მიპასუხა ქალმა და დაიძახა:

—მამილო! აბა გვიამბე რისთვის აუშენებიათ ხევსურებს ეს კოშკი.

— იალსარი, შვილო?

— დიახ ის. შეხარით ორივემ ერთათ.

— მაგ კოშკს, შვილო, დაიწყო მღვდელმა, ხევსურები იალსარს ეძახიან. მგ იმათი უწინდელი სალოცავია; ის, ოთხ ბოძზე რომ სპილენძის ხუფივითა დგას, საზარე იყო; სახლი კიდევ იალსრის ხუცესისა იყო **); საწყალი პურდღელა ჭკვიანი და გამოცდილი ბერიკაცი იყო; ეხლა კი თქვენი ჭირი წაიღო, აღარ არის....

— ჰო, ეს ორი წელიწადი სრულდება, ჩამოართვა ცოლმა სიტყვა, რაც საწყალმა თქვენი ჭირი წაიღო. ახალწელიწად ღამეს ბევრი ესვა, ნასომს ჩაფში (აწოლში) ცეცხლი გადაჰვარდნიყო და დამწვარიყო; სამი დღე-ღა იცოცხლა იმის შემდეგ..

— არ არის დიდი ხანი, განაგრძო მღვდელმა, რაც ეგ კოშკი აუშენებიათ: პურდღელამ თურმე ერთხელ, ქადაგობის დროს, გამოუცხადა ხალხს, რომ აქ ართანის ხატი უნდა გაემობრძანდესო და იმას სამლოცველო უნდა აუგოთო. პურდღელას ხალხზე დიდი გავლენა ჰქონდა და ამისთვის ხალხი დაჰყვა მის ნებას: შეიქმნა მუშაობა. ცოტა ხნის განმოავლობაში ააგეს ეგ კოშკი; შემდეგ ააშენეს საზარეც და დაჰკიდეს ზარი, რომელსაც დღეობაში რეკავდნენ ხოლმე ხუცები. თუ რა გავლენა ჰქონდა ბერი-კაცს ერწოელებზე და სხვა მთიულებზედაც ესა სჩანს იქიდამ, რომ ამ იალსარში ლოცვა, წელიწადში ერთხელ მაინც, შეიქმნა აუცილებელი მოთხოვნილება ყოველი ოჯახისათვის. ავათმყოფობის და გაჭირების დროს ხომ პურდღელა პირველი საშუალება იყო; რადგანაც წლითი წლით მლოცავი ბევრდებოდა და იალსრის ქონა შუა სოფელში ცოცა უმარჯვო იყო, ერთ დღესასწაულის დროს თურმე გამოუცხადა ხალხს: თქვენ აქ ხატი არა გყავბულობთო და უნდა ცოტა იქით გადასახლდეთო! ხალხი დაჰყაბულდა და ამ სახით იალსარი და მისი ხუცესის სახლი დარჩნენ გაცალკევებულნი. მას აქეთ შეიქმნა იალსარი მიუვალი განსაკუთრებით დედა-კაცებისათვის და, თუ ლოცვა უნდოდათ, შორიდან უნდა ელოცნათ.

მართლაც და ეხლაც კი როდი ეკარებიან იარსარს, დაუმატა მელანომ.

— ჯერ ჩემ მოსწრებაშიაც კარგი დღესასწაული იცოდნენ აქ, განაგრძებდა მღვდელი; ძრიელ ბევრი ხალხი მოატყდებოდა ხოლმე; ყველას ჰყავნდა აქ სამლვთოთ ან ცხვარი, ან კურატი. დილიდანვე შეიქმნებოდა ზარის რეკა, რომელსაც ამ დროს ბალდადს შეაბამდნენ ღეროზე და იმითი რეკავდნენ. ეს ამოდენა მლოცავი სულ ქუდ-მოხდილი შემოერტყმებოდა იალსარს, დედა-კაცები და ყმაწვილები უფრო შორს იდგნენ, სინამ კაცები. ამ დროს მობრძანდებოდა თვითონ პურდღელაც მორთული, მიიდგამდა კიბეს და შევიდოდა კოშკში სალოცავათ; ხალხი ქვედრებოდა გარედან; მათგან მალ-მალ გამოისმოდა მაღლა ხმით მტყლაშუნი, შორიდან ჰკოცნიდნენ იალსარს... პურდღელა ხუცობის შემდეგ დაუვლიდა სამხთოებს და ყველა სამლთოს დაადებდა თავზე ჯვარედინად ხანჯალს. დაჰკლავდა ერთს; იმისი სისხლით აავსებდა ვერცხლის თასს და ასხურებდა ხალხს; იკლოდნენ სხვა სამხთოები; ყველადგან მისდიოდა ხუცესს მხარ-ტყავი და საწირავი. ამ დღეს პურდღელას სრულებით არა ჰქონდა მოსვენება: აგერ აქ ქადას აჭრევინებდნენ და ეხვეწებოდნენ, რომ დაემწყალობებინა, იქ ცალ მუხლზე დაჩოქილი ხევსური ლუდით სავსე წიწანას აწვდიდა; აგერ დედა-კაცი დიდის მოწიწებით უცხადებდა მას თავის მახლობელის ავათმყოფობას და ეხვეწებოდა გაეგო თუ რომლის ხატის მიზეზით არის ის ავათ და ან რით მოიმადლიელებს იმ ხატს. ხელხიანი ბერი-კაცი ყველას აძლევდა შესაფერ პასუხს. ამ გვარად იმან ბევრი, ძრიელ ბევრი ფულები შეიკრიბა...... ბევრი ვეცადენით და როგორც იყო მოვაშლევინეთ ეს ყოფა, თუმცა კი ჩუმათ ლოცვას მაინც კი არ იშლიან. აი ამ ორი წლის წინათ მანდ კიდევ ვიპოვეთ ერთი ზარი, რომელიც შიშით საზარის ქვეშ ჩაეფლოთ.

ამ ლაპარაკში ვიყავით, როცა სახლის გალავანში შევედით; აქ დამხვდა ჩვენი ნათლიმამა ხევსური და მითხრა, რომ საჴვალიოდ იმასთან წავსულიყავი.

მეორე დღეს დილით ჩავიარე სოფელში და შევუხვიე ერთი ბანისკენ; იქ კუნძზე იყო ჩამომჯდარი ის ჩვენი ნათლიმამა ხევსური და ჩიბუხს ეწეოდა.

დამინახა თუ არა, მაშინვე წამოხტა ფეხზე.

— ოო! ნათლიას გაუმარჯვას, რას გუნებას ხარ? დაიძახა იმან.

— კარგად გახლავარ, გმადლობ. უპასუხე მე.

*) „დროება", № 220.

**) ხუცესი ანუ დეკანოზი ხევსურებს მღვდლების მაგივრათ ჰყავთ. ესენი ასრულებენ თავიანთებურათ თითქმის ყველა სამღთო წესს; ხუცობის დროს ამათგან გაიგონებ სხვა და სხვა ლოცვებიდამ ამოგლეჯილ ფრაზებს.

— წამობრძანდი შინ, მითხრა და გახედა საკომლ:—ეჰეუ! ბოლიც ქვე ველარ „მოდის..

მოუ აქრა ბანს; მემრე შინ ჩავედით. ქარებწინ უხვათ ეყარა ხეების ნახეთქები და ნაფოტები, იქვე ეგდო ცული. ბადავალაჯეთ ხეებს. ქარებ წინ გიმოგვეგება ნათლიდედა ორთამზე და მოკითხვის შემდეგ, შეგვიწვია შინ. სახლის დერეფნის მაგვრათ, გრძელი შესავალი ჰქონდა; ის სრულებით ბნელი იყო, მხოლოდ კარების მხრიდამ, რომელიც ჩვენ შემოსვლის შემდეგ ისევ თავის-თავად მიიხურა, შემოდიოდა ცოტაოდენი სინათლე. წინ მიმიძღოდა თვითონ სახლის პატრონი. ფეხ აპარებით და სიფრთხილით მივდიოდი, არაფერში ჩავარდე-მეთქი, მაგრამ მაინც ვერ ამცდა და რამდენჯერმე მოულოდნელად ისე ჩავკარ ფეხი, ეტყობოდა, კარგა მოზრდილს ფოსოში, რომ სულ გვერდები „შემომელეწა.

ჩვენ წინ გამოჩნდა ნახევრად ღია ფიცრის კარები; შევედით სახლში და ჩამოვსხედით ერთ გრძელ სკამზე. ქერაზე, ზედ შუა სახლში, ენთო ცეცხლი; ზედ იყვნენ წაწყობილები წიფლის ნაჩეხები. ბანიდამ იყო ჩამოშვებული სქელი ჯაჭვი სულ მთლად გამჭვარტლული, მაზედ ეკიდა ყურიანი ქვაბი, საიდგანაც ერთობ უხვათ ამოდიოდა ორთქლი.

ბოლისაგან სულ-შეგუბებულმა ავიხედე მაღლა. მინდოდა ცა მაინც დამენახა საკომიდამ,მაგრამ ჩემი თვალები უნებურად შეაჩერდნენ მწარედ შებოლილს და შემჭვარტლულს ჭერს. ჭერიდამ ბუნჯგალ-ბუნჯგალი მჭვარტლი იყო ჩამოგრძელებული და ჩამოცევივნას ჭლამოდნენ; იქვე საკომს ახლო, იყვნენ გაწყობილები ხარიხეები და ზედ ფიწლები. კომბლები, ორ-თითები. ბაცი აქვე შენიშნავდა დაკიდებულებ მთელ-მთელ ცხვრის დუმებს.

— დათიკო, მითხრა ხევსურმა, შენიშნა რა რომ ჭერში ვიყურებოდი,—ეს ცხვრის დუმანი ძალია კა საჭმელია, მემრე ჩემ დიაც რომ მოხარჩაეს რძეჩი!

—ქარგია,რატომ, ეუპასუხე მე, მაგრამ დუმა ისიც რძეში მოხარშული ხომ ძრიელ ძნელი საჭმელი იქნება.

— დიალ თქვენდ, ბარისეებისად, ძნელ საჭმელი ას, ჩვენ ქვე შეჩვეულები ვართ მაგას...

ქერის ცოტა ქვეიდამ აყუდებული იყო გრძელი ლასტი; იმის იქით იწყებოდა ზღავებით დაგებული იატაკი, სჩანდა ბაგაც; ეტყობოდა, სახლი იყო დანიშნული, როგორც კაცების საცხოვრებლად' ისევე საქონლისა.

მთლად ოჯახობა რაღაცა დამფიქრებელ შთაბეჭდილებას იღებდა ჩემზე. ქერის პირას ფუსფუსებდა ხანში შესული დედა-კაცი; იმისი მრავალ-გზის დაკონკებული შალის ტანისამოსი მთლად ჭუჭყისაგან იყო შელესილი. იქვე ახლო ისხდნენ პატარა ბალღები სულ დალოხიანებულს ტანთ-საცმელში და შემოგვცქეროდნენ. პატარებს ქალმების მაგივრად ეცვათ ძირებზე ტყავ-წაკრული წინდები.

დიასახლისამ მოგვართვა ტაბლა, ზედ ეწყო ხმიადები, ქადები, ყველი, ორი წიწანა (პატარა ჯამი ხისა) რძე, რომელშიაც ყვითლათ ესხა გამდნარი ერბო...

ვიწყეთ ჭამა და არყის სმა. პურის ჭამის დროს კიდეე რამდენიმე კაცი შემოვიდა და იმათაც ჩვენთან დაიწყეს საღილობა. დიასახლისამ ამოყარა ცეცხლზე ნაკიდ ქვაბიდამ ხინკლები და მოგვართვა.

— მიირთვი, დავითო, მიირთვი; სახელ ხინკალ გაუკეთებავს ჩემ დიაცს!.. სთქვა და მომაწოდა ხინკალი.

—მართლა კარგი საჭმელი ყოფალა, მე როდი ვიცოდი! ეუთხარ მე.

— ესაჭ ეს ხევსურების საჭმელი ას. მითხრა და მომაწოდა არყით სავსე ყანწი...

მზე გადახრილი იყო, როდესაც ჩვენ ავიშალენით და მე წავედი შინ კარგა დამბალი არყით...

ვ. ბ.

(ბაგრძელები შემდეგში)

«დროების» კორესპონდენცია

ზაქათალის მაზრიდგან, 25 ღვინობისთვეს.—ჩვენიქალაქი გადაწყის შემდეგ, ნელ-ნელა შენდება, იზრდება, მშვენიერდება და შედის წარმატებაში...

ყოველი მოქალაქე ეაჭარი სცდილობს თავის ნაშენებით აჯობოს მეზობელს. უწინ ქუჩები იყვნენ ვიწროები და მრუდენი და თვითონ ნაშენებიც იყვნენ მარტო ხისანი. ეს ნაკლულევანება ახლა აცილებული არის.

რასაკვირველია მომავალში ეს ქალაქი იქნება არხიტექტურის მხრით ერთი უკეთესთაგანი ყოველს კავკასიაში.

მომავალში ვინ არ მოელის მშვენიერებას ყველა ფერში, მაგრამ ეაი იმის ბრალი, ვინც აქ არის მდგმოიერად.

ეს ორი თვე გადის, რაც მე აქ ვარ; ჯერაც ვერ მიშოვნია ცოტაობით მაინც რიგანი სადგომი. სადგომები ყოველგან დაფეხვილნი და დანგრეულნი არიან; ყველაში სუფევს სინოტიო, მყრალი და საძაგელი სუნი.

სახლობის არ-ვარგობას არ ჩამოურჩებიან თვითონ სახლის პატრონები. მათ კარგათ ესმისთ აწინდელი გაჭირვებითი მდგომარეობა და ძალიანათაც კარგა სარგებლობენ: ყოველს იმ ნაირს ოთახებში, როგორნიც არიან თქვენს ქალაქის ბაკებში, თვეში მდგმურს არ-თმეევენ არა ნაკლებ ხუთ მანეთისა! . .

ამასაც ჯანი გავარდეს თუ ამ ფასადაც მდგმურს მოსვენებას აძლევდნენ. აი დაიჭირეთ სახლი, ესთქვათ ექვს მანეთად. ბავიდა თვე, შემოვარდება სახლის პატრონი ამ სიტყვებით: „სახლი დამიცალეთ“. ამ „სახლი დამიცალეთიის“ მიზეზი ერთი და იგივეა: პატრონს ჰსურს ფასის მომატება; იძულებული ხართ მოუმატოთ. მაგრამ ამით თქვენი მდგომარეობა არ უმჯობესდება: ყოველს თვეში გესმისით „სახლი დამიცალეთ!“

რას იზამთ, ბატონო — ეხლა თუ ფანარებსაც რიგზედ და დროზედ ანთებდეს. მარტო ანათებს, ისიც მოკლე ხანამდის, რომ ფაარები დიდ ხანს არ იწვებოდნენ და თვითონვე ქრებოდნენ, ნავთს პაწაწკინას ასხმენ „ეაგულოვიჩის“ ქუჩას; იმისთანა მიყრუებული ქუჩები კი, საცა სახლის საშენი მასალა ჰყრია როგორიც არის „ვარინკაანთ“ ქუჩა—ესეთი სახელები აქვთ ჩვენს ქუჩებს—განათებას იშვიათათ ელირსება ხოლმე;—იქნება იმიტომ რომ ამისთანა ქუჩებში სცხოვრებენ იმისთანა პირები, რომელთაც არაფრათ ეჭაშნიკებათ ხოლმე სინათლეში ცხოვრება, რა რომ საჩუქრების სოფლელებისგან მიღებაში არავინ დაინახოს. არ ეიცი მართლა ეხლა კი რაღას ეზიდებიან ჩვენი გაჭირვებული სოფლელები საჩუქრებს, ბრინჯს, ერბოს, ყველს და სხვას ყაზარბეგთან, რომელიც პირად სასამართლოში (въ словесномъ судѣ) და სრულიადაც დათხოვნილია სამსახურიდგან.

ჩვენი „პირადი სასამართლო“ მარტო ამითი არ არის შესული წარმატებაში, რომ მისი აწინდელი წევრები, ერთის გარდა, ყველანი გლეხები არიან და კარგათაც იცვენ თავიანთიევ დასის, წოდებას. ეს ენი ნამდვილათ აფასებენ იმ 27 მანეთს, რომელნიც მათ თვეში თითოს ეძლევა სახელმწიფოდგან. საჩივარ საქმეებს მშვენიერად განაგებენ ხოლმე; ამის შემდეგ მოდით გაამტყუენეთ ჩვენი გლეხობა თვით მართებლობის უცოდინარობაში! . .

ინგილოელი

(შემდეგი იქნება)

უცხო ქვეყნები

ინგლისი

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 15 ოქტომბერს ლონდონიდამ მიღებული:

„აქ ამბობენ, რომ საინგლისო ინდოეთის ვიცე-კოროლს ლორდ ლიტტონს უნდაო თავის თანამდებობა მიატოვოსო, რადგან ინგლისის მთავრობა ახლაევ არ უცხადებს აეგანისტანს ომსაო.

„უკანასკნელს ულტიმატუმში,! რომელიც ინგლისმა აეგანისტანის ემირე გაუგზავნა, სხვა პირობათა შორის მოხსენებულია, რომ ემირმა დაითხოვოს თავის ქვეყნიდამ რუსის ელჩები და არავითარი პირობითა და კავშირით არ შეეკრას რუსეთს.“

გერმანია

მოგეხსენებათ, რომ ინგლისის მმართებლობამ წარუდგინა ევროპის უთავრესს სახელმწიფოებს წინადადება, რომ რუსეთს საერთოთ მოსთხოვონ ბერლინის ტრაქტატის ბეჯითად და დაუყოვნებლივ შესრულება. ამ წინადადების

თაობაზე, სხვათა შორის, ბერმანიას გამოუცხადებია, რომ, იმის ჰაზრით, ოსმალეთის უფლება ევროპაში სრულიად უნდა მოისპოს, რომ იმას ევროპაში მხოლოთ სტამბოლი და იმის არე-მარე უნდა ეკუთვნოდესო.

—რადგან ახალმა კანონმა (სოციალისტების შესახებ) ბევრის მხრით შეაეიწროვა ბერმანიის მუშები, ამის გამო ზოგიერთს ქალაქებში რამდენსამე საზოგადოებაა მუშებისას გარდაუწყეტიათ, რომ მცირე აზიაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდნენ.

ოსმალეთი

გაზეთის „ტაიმსის“ სტამბოლელი კორრესპონდენტი იწერება, რომ ამ ჟამად ოსმალეთში ხელ-ახლად გაცხარებით დაიწყეს ომისათვის მზადებაო; და ამის მიზეზი ის არისო, რომ ოსმალეთს ეშინიანო, ეაი თუ რუსეთმა მოინდომოს მაკედონიის არეულობით სარგებლობა და ეს ქვეყანა დაიჭიროს თავის ჯარებითაო. ამის გამოც ამ უკანასკნელ დროს აქედამ ძალიან ბევრი ჯარები გაგზავნეს მაკედონიისაკენაო.

— ამავე გაზეთის სიტყვით, ინგლისს საიდუმლო პირობა აქვს ხონთქრისათვის მიცემული, რომ, თუ რუსეთმა არ შეასრულა ბეჯითად ბერლინის ტრაქტატი და ამის გამო ამ ორ სახელმწიფოს შუა შეტაკება მოხდა, ამ შემთხვევაში ინგლისი ოსმალეთის მხარს აშკარად დაიჭერს და ჯარებითა და ფულით მოეხმარება იმას.

— ერთი ნემეცური გაზეთი დარწმუნებით ამბობს, რომ ავსტრიასა და ინგლისს შუა პირობა არის შეკრულიო, რომლის ძალითაც იმათ ერთად უნდა მოსთხოვონ რუსეთს, რომ სწორეთ ექვსის თვის შემდეგ (ბერლინის ტრაქტატის შეკვრისა) გაიყვანოს თავის ჯარები ბოლგარიიდამ; და თუ იმ დროდინ ვინიცობაა ბოლგარიაში არეულობა არ დაწყნარდება, მაშინ ეს ორი სახელმწიფო გაგზავნიან თავის ჯარებს ბოლგარიის დასამშვიდებელად. ინგლისის მოთხოვნილებით, რუსეთმა ამ ერთს თვეში (ე. ი. ქრისტეშობის თვის დამდეგამდინ) უნდა გაიყვანოს ჯარები ბოლგარიიდამ.

შეცდომა. უფ. კ. მესხის წერილში შემდეგი სიტყვები: „ძალალდით, თხოვნით ვერა გავაწყეთ-რა და მირჩა ისევ ივ. აბაშიძეს“—ასე უნდა წაიკითხოთ: „ძალალდით თხოვნაც ვერ მოვახერხეთ“.

რუსეთი

ერთს ნემენცურს გაზეთში იწერებიან ოდესსიდამ, რომ ლენ.-ლეიტენანტს ანენკოვს ბრძანება მიუვიდაო, რომ საჩქაროთ დაამზადოს ჯარები, ცხენები და სამხედრო მისალები ერანაში და ბურგასში გასაგზავნათაო. ლენ. ტოტლებენსაც მოუხდენია განკარგულება, რომ ბოლგარიაში მყოფს რუსის არმიისა თვის მზათ ჰქონდეს ჯარებისთვის სურსათი. ამასგარდა იწერებიან რომ რუსეთიდამ ამ მოკლე ხანში გზავნიან ადრიანოპოლში სამხედრო ექიმებსა და წამლებსაო.“

ამ წელს დამტკიცდება სენატისაგან კანონი, რომლის ძალითაც ფინლანდიაში ყველა წოდების ხალხნი იქნებიან სამხედრო სამსახურში გამოწვეულნი, ისე როგორც თვით რუსეთშია.

— ლონდონიდამ იწერებიან, რომ ამ მოკლე ხანში იქ დაუჭირავთ ორი პოლშელი ურია, რომელნიც რუსის ყალბ ქაღალდის ფულს აკეთებდნენო.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

პეშტი, 30 ოკტომბერს. სესსეკიდამ მოსული ამბებიდამ სჩანს, რომ ბოსნიიდამ გადმოვარდნილ ხალხს ძალით იჭერენ და ღამით ჭანდარმებით გზავნიან თავის სამშობლოშიო. ამის გამო დიდი შეწუხება ხდებაო. ამას გარდა საშინელი სიცივისა და ცუდი გზებისაგან ეს ხალხი წარმოუდგენელ მდგომარეობაშია ჩავარდნილიო.

სარაევოდამ იწერებიან: ავსტრიის ჯარებში გავრცელდა სხვა და სხვა ავათმყოფობა, სიცივისა, ცუდი სადგომებისა და უსურსათობის გამო.

ამბობენ, რომ ამ დღეებში ბოსნიიდამ მოდის პეშტში დეპუტაცია, რომელიც ხალხის მაგივრად თხოულობს რომ იმათი ქვეყანა ავსტრო-ვენგრიას შეუერთონ. მთავრობის მოწინააღმდეგე გაზეთები ამტკიცებენ, რომ ამ დეპუტაციის წევრები ზოგი მოსყიდულნი არიან ავსტრიის მმართებლობისაგან და ზოგი ძალათ გამოგზავნილებიო.

პეშტი, 30 ოქტომბერს. ლორდ ბიკონსფილდის სიტყვამ აქ ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა; ამ სიტყვაში რუსეთისადმი უფრო აშკარა მტრობის გამოცხადებას მოელოდნენ.

ვენა, 30 ოქტომბერს. ოსმალეთის მთავრობას ამბავი მოუვიდა სერესიდამ (მაკედონიიდამ), რომ ბოლგარიის აჯანყებულები დაეცნენ ქრასნუში ოსმალოს ორ სოტნას და ოც-და-ათი საათის ბრძოლის შემდეგ, ყველანი ტყვედ აიყვანეს და ხორბიჩში წაიყვანესო. ბოლგარიის აჯანყებულები დაეცნენ ზენიკესს, და ბრადჩანიცეს და დაიჭირეს მაჰმადიანთ სოფლები მორენა, პოლიცა და ხინიცა.

ბერლინი, 1 ნოემბერს. ლეიფციგის უნივერსიტეტმა ჩამოართვა აკადემიის მოქალაქეობის უფლება იმ რუსის სტუდენტებს, რომელნიც შემჩნეულნი იყვნენ სოციალური აზრების გავრცელებაში.

პეშტი, 1 ნოემბერს. შუალოვი მოვიდა; დიდხანს ითათბირა ანდრაშისთან

ვენა, 31 ოკტომბერს. მიდჰად-ფაშის დანივნა სირიის ლენერალ-ლუბერნატორად—ლეიარიდის გამარჯვებად მიაჩნიათ.

პეტერბურგის ბირჟა, 2 ნოემბერს.
(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის —	96—	75
მეორესი — — — —	95—	62
მესამესი — — — —	95—	50
მეოთხესი — — — —	95—	50
აღმოსავლეთის — —	92—	„
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8—	38
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— —	„—	„

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	234—	„
მეორე სესხის — — —	228—	„

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	23—	17/32	პენსი
ამსტერდამი— —	118—	75	ცენტი
ბერლინი— — —	201—	„	ჰფენიგი
პარიჟი — — —	247—	75	სანტიმი
კავკასიის კერასინი—	2—	50	—

განცხადებანი

ვართანოვის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო შკოლებში სახმარებელი, შედგენილი ი. ბოგებაშვილისაგან, მეორე შესწორებული გამოცემა. ფასი ექვსი შაური, ყდაში გადაკრული ცხრა შაური. თუ რომელიმე შკოლა იყიდის ერთათ ოც-და-ათ ეგზემპლიარსა, ან რომელიმე კერძო პირი ასსა, ეგზემპლიარი დაეთმობა უყდო ხუთ შაურათ, ყდიანი ორ აბაზათა.

ბუნების კარი, ანუ საკითხავი წიგნი, დაბალ კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა, შევსებული და შემკული სურათებით და საქართველოს კარტით; ფასი ხუთმეტი შაური. ეგზემპლიარი დაეთმობა თოთხმეტ შაურათ, ვინც ერთათ იყიდის თხუთმეტ ეგზემპლიარსა,—ცამეტ შაურათ, ვინც ერთათ წაიღებს ოც-და-ათ ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ ასი ეგზემპლიარის ერთათ მყიდველსა. ვისაც ჰსურს ყდაში გადაკრული მიიღოს, უნდა ამ ფასს დაუმატოს სამი შაური.

საყმაწვილო კონა პირველ დაწყებითი მოთხრობებისა პუნების მეცნიერებიდგან, გამოცემა პირველი, ფასი ექვსი შაური.

პატარა ბიბლიოთეკა, პირველი წიგნი, შეიცავს სამს საყმაწვილო მოთხრობასა; ფასი ორი შაური.

აქვე ისყიდება ყველა ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები. (10—1)

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

გამგეობა მიხაილის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა ქუთაისში აცხადებს, რომ, ბანკის წესდების მე-18 §-ის ძალით, ამა 1878 წლის 28 ნოემბერს, გამგეობაში, რომელიც არის ქ. ქუთაისს, თფილისის ქუჩაზედ, თავადის ნიჟარაძის სახლში, საზოგადო ვაჭრობით გაიყიდებიან უძრავნი მამულნი ქვემო მოხსენებულთა პირთა, ვალითი გადასახადთა, დაწესებულთა ბანკის წესდების §§ 31, 32 და 33-ის ძალით, მათ მიერ შემოუტანლობისა გამო:

წერეთელთა, გიორგი და დიმიტრი ექვთიმეს ძეთა, ვასილი სიმონის ძისა და შტაბს-კაპიტანის იოსებ ოქროპირის ძისა—20 დესიატინი და 1980 კვადრატული საჟენი სახნავი და სათიბი მიწა, სახელდობ „სარბევი“, მდებარე წინაველში ქუთაისის უეზდისა.

თავნი ვალი 2,000 მანეთი, შემოუტანელი გადასახადი 150 მანეთი.

მათივე—ორი ერთ-ეტაჟიანი სახლი,—ერთი ქვით-კირისა და მეორე ხისა, ეზოით, სახნავით, ვენახით და ტყითური, ზომით 4 დესიატინი და 300 კვადრატული საჟენი, მდებარე ქ. ქუთაისს, ბალის ქუჩაზე.

თავნი ვალი 6,560 მანეთი და 73 კაპ., შემოუტანელი გადასახადი 782 მანეთი და 80 კაპ.

ლოლაძერიძისა, გიორგი ბესარიონის ძისა, ოთხი ქვით-კირის ერთ-ეტაჟიანი დუქნები, ეზოთურთ, ზომით 276 კვადრატული საჟენი, მდებარე ქ. ქუთაისს, მიხაილის ქუჩაზე.

თავნი ვალი 17,737 მანეთი და 64 კაპეიკი, შემოუტანელი გადასახადი 1,297 მანეთი.

ვაჭრობა დაიწყება ბანკისადმი ვალით, ზედდამატებით იმ ხარჯებისა, რომელიც ბანკს მოუხდა მამულის გასასყიდლად დანიშნვისამებრ. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთა შეუძლიათ განიხილონ გამგეობაში აღწერაები და საბუთები, რომელნიც გასაყიდელთა მამულთა შეეხებიან.

თუ პირველი ვაჭრობა არ გამოდგა, მაშინ დაინიშნება მეორე და უკანასკნელი—ამა 1878 წლის 14 ქრისტეშობისთვისათვის (§ 24).

მამულების მყიდველთა შეუძლიათ ბანკის ვალი თავის თავზე გადაიტანონ (§ 22).

(3—3)

გამოვიდა და ისყიდება

„თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამმა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული გრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნის მაღაზიებში, **ქუთაისში**—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

უ. ექვთიმე ხელაძის სტამბაში იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა

საქართველოს

კალენდარი

ქართველთა და სომეხთა

1879 წლისა.

ქართულის ქორონიკონით

35 წლისათვის

შედგენილი ი. ლიაძის მიერ

და გამოცემული

ექვთიმე ხელაძისაგან

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“

რომანი

ლავრენტი არდაზიანისა.

გამოცემული

ი. მელიქოვისა და გ. ჩარკვიანისა.

ფასი 30 კაპეიკი.

ისყიდება

„კრებული“

1873 წლისა

ქუთაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში, კლუბს ქვეშ.

თფილისში: გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ქაშვეთის ეკკლესიის სახლში,

ფასი: №№ 3, 4, 7, 8, 9-ის თითოსი ხუთ-ხუთი შაური; №№ 5 და 6 ორივესი ერთად ათი შაური; № 10—ორი შაური; №№ 1 და 2 ცალკ-ცალკე არ ისყიდება, და მთელის წლის ათი ნომერი ღირს ხუთ მანეთად.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი. . . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური. . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი . . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა . .	1	18	ღამე.		3	98	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური. . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი. .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:	მან	კაპ.
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურღს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ახალციხეს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (ზომი მისხალი) .	8

მაზანდა

თფილისი, 28 ოქტომბ.	მან	კაპ
ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ.	1	80
ფქვილი წითელი . . .	1	50
ქერი ფუთი	1	30
ბამბა ერევნისა, ფუთი .	6	50
—ამერიკისა, ფუთი . .	7	30
გაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთი	8	50
—თარაქამისა ფუთი . .	4	40
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	—
ქონი, ფუთი	5	40
ქონის სანთელი ფუთი .	7	50
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	40
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	81
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	81
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, გროც. ფუთი .	7	40
—ფხვნილი ფუთი . . .	6	20
ყავა გრგვალი, გირვ . .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი	12	80
თამბაქო, საშუალო ფთ.	6	60

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაედანზე, წ. ნამძღვარიშვილის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და გარალევიჩი—შინაგ. ავათ., მიურხარიანცი—საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. გ. ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., მიურხარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი—შინაგ., ა. გახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою: Тифлисъ 2 Ноября 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი, რედაქტორი ს. მესხი.